



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კინწურაშვილი ალექსანდრე სიმონის ძე

კინწურაშვილი ალექსანდრე სიმონის ძე (1. IV. 1900, ქუთაისი, – 25. VI. 1976, პარიზი), ყოფილი იუნკერი, კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლებისა და ბათუმის ოსმალთაგან გათავისუფლების მონაწილე. საბჭ. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 მარტში ემიგრაციაში გაჰყვა გახიზნულ მთავრობას. კ. ერთ-ერთია იმ ხუთ იუნკერს შორის, რ-ებიც გენ. გ. კვინიტაძის რეკომენდაციით სენ-სირის (საფრ.) სახელგანთქმულ სკოლაში ჩაირიცხნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1925, იგი ლეიტენანტის წოდებით უცხოურ ლეგიონში გაამწესეს. მსახურობდა ჩრდ. აფრიკასა და ლიბიაში.

კ. აქტიურად მონაწილეობდა ელ-ალამენის ცნობილ სამხედრო ოპერაციაში, რისთვისაც „გათავისუფლების ჯვარი“ დაიმსახურა. II მსოფლიო ომის წლებშივე მიიღო თავდაპირველად კომანდანის, შემდეგ კი კოლონელის სამხედრო წოდებები. თადარიგში გასვლის შემდეგ, XX ს. 50-იანი წლების დამლევს, დაინიშნა პარიზის ქართ. ოფისის დირექტორად.

მხედრული დამსახურებისათვის მიღებული აქვს უმაღლესი ჯილდოები: საპატიო ლეგიონის ორდენი, „დიდი კომანდორის“ ჯვარი, რამდენიმე ბრიტანული ორდენი და მრავალი მედალი.

კ. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

ლიტ.: უ რ უ შ ა ძ ე ლ., ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005.